მეგი ტეტემაძე
სსიპ აჭარის მუზეუმი - ძმები ნობელების სახელობის
ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის მმართველი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორანტი
Megi Tetemadze
Lepl Ajara Muzeum , Nobel Brothers
Manager of the Batumi Technological Museum
Doctoral student in history at Batumi Shota Rustaveli State University

„ბათუმის საზოგადოების კულტურული გარდასახვა XX საუკუნის დასაწყისში"

The cultural transformation of Batumi Society in the beginning of XX century

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.05

აბსტრაქტი

საკონფერენციო თემაში განხილულია ბათუმის ოლქის საზოგადოებრივი წყობა, მათი ცხოვრების სტილი თუ უცხო კულტურების შემოდინება და ინტეგრაცია მოსახლეობაში XX საუკუნის დასაწყისისათვის. რა პოლიტიკური მდგომარეობა სუფევდა ამ დროისათვის ქალაქში და განხილულია სოციალურ, ეკონომიკური და კულტურული პროცესები, რამაც განაპირობა ქალაქის ურბანიზაცია და საზოგადოების ფორმირება, ევროპული გავლენებით გამორჩეულ ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად გარდაქმნა. ყურადღება გამახვილებულია ბათუმის პორტზე, როგორც მთავარ იარაღზე ინდუსტრიალიზაციის შემოსატანად, მრავალეთნიკური გარემოს ფორმირებაზე, განათლებისა და ინტელიგენციის გაძლიერებაზე, თეატრისა და კულტურული ცხოვრების გააქტიურებაზე. ნაშრომში ასევე აღწერილია ეტაპი თუ რა ცვლილება განიცალა მოსახლეობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა. თემა დამუშავებულია როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური ისტორიული წყაროების მიხედვით, გამოყენებულია საარქივო მასალები, ფოტოდოკუმენტები უცხოური მედიიდან, გაზეთებიდან თუ ინტერნეტ სივრციდან მოპოვებული.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, საზოგადოების ფორმირება, ურბანიზაცია, მრავალეთნიკური ბათუმი, ბათუმის პორტი.

Abstract

The conference topic discusses the social structure of Batumi region, their lifestyle and the influx and integration of foreign cultures into the population at the beginning of the 20th century. There is description of political situation prevailed in the city at that time and the social, economic and cultural processes that led to the urbanization of the city and the formation of society, transforming it into an industrial and cultural center distinguished by European influences, are discussed. The focus is on the port of Batumi as the main tool for bringing industrialization, forming a multi-ethnic environment, strengthening education and the intelligentsia, and activating theater and cultural life. The work also describes the stage and the changes experienced by female representatives of the population. The thesis is compiled according to both Georgian and foreign historical sources, archival materials, photo documents obtained from foreign media, newspapers, and the Internet.

Keywords: Batumi, community formation, urbanization, multiethnic Batumi, Batumi Port.

1878 წლამდე ბათუმი ძლიერ ჭაობიანი, უსუფთაო და მოუწყობელი იყო. როგორც ისტორიული წყაროები გვაუწყებს „იგი ბუდე იყო ყოველგვარი გადამდები სენისა“ [ახვლედიანი, 1978:205]. ქუჩები უწესრიგოდ იყო განლაგებული, უბნები უარესად. მთავარ სანაპირო ქუჩას ეწოდებოდა „ალი-ქიისის“, დანარჩენი ქუჩები შემდეგი სახელწოდებისა იყო: „აჭარა-სოხახი“, მეზერლუქ-ბაში'', „ჯამე-არასი“, „ჩიხმაღ-სოხახი“, „თელეგრაფ-სოხახი“, „აზიზიე-სოხახი“, „ბურუნ-ბაში სოხახი“, „ურუმ-(ბერძნის) სოხახი“, „ნურიე სოხახი“. იყო საპოლიციო უბნები და ქუჩები: „აზიზიე-მეჰელე“ (აზიზიეს უბანი), „აჰმედ-ფაშა-მეჰელესი“, მუფთი-მეჰელე“ „სარისუ-მეჰელე“ და სხვ.

ქალაქის განვითარებისა და ზრდის შედეგად ბათუმის საზოგადობრიობამ 90 კაცის სახელით 1885 წელს აღძრა საკითხი ბათუმში თვითმმართველობის შემოღების შესახებ. რუსეთში არსებული წესით, 1870 წლის 16 ივნისის დებულების მიხედვით შესაძლო იყო ქალაქებში თვითმმართველობის ხარჯები შეენახა. ამ, და სხვა მიზეზებით საქმე შეაჩერეს, ხოლო 1887 წელს ქუთაისის გუბერნატორმა - გენერალ-მაიორმა გროსმანმა მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით აღძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის მთავარმართებლის წინაშე ქალაქის თვითმმართველობის ჩამოყალიბების თაობაზე. შემდეგ დონდოკოვ-კორსაკოვის განკარგულებით, იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა კომისია და შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ 1888 წლის მარტში ეს საქმე კვლავ შეჩერდა, რადგანაც უმაღლესი საკანონმდებლო წესით არ ყოფილა შეთანხმებული. კომისიის ყველა საქმე გადაეცა პოლიციის სამმართველოს. ხოლო იმავე წლის 28 აპრილს ახალი შუამდგომლობის შედეგად მოვიდა მისი უმაღლესობის ნებართვა თვითმმართველობის შექმნის შესახებ. ამ საქმის ორგანიზაცია დროებით

დაევალა გავრონსკის და შეუდგა მის ჩატარებას. 2 სექტემბერს არჩევნები დაიწყო. 25 აგვისტოს იყო 525 ამომრჩეველი. აღნიშნულ რიცხვში ჩატარდა არჩევნები, ამრიგად, 1888 წელს 4 წლის შეჩერების შემდეგ, ბათუმის ქალაქის საზოგადოება ეღირსა თვითმმართველობის ჩამოყალიბებას და მუშაობის დაწყებას. პირველი არჩევნების საბჭოს სათათბიროში შევიდნენ პირველი თანრიგის: ციბერმანი ა. ფ.., კოიანდერი ა.ი., კოვალოვი ვ.ა, მელქონიანცი ო.გ., პასეკი ნ.მ., სევერიანი ა.ი., მამულოვი ი.ა., რელიგიონი ფ.ა., ცეიტლინი გ.ნ; მეორე ტანრიგი: ბიკოვი დ.ი., ცოხუმოვი მ.ნ., კარა-აღაზადე ჰუსეინ-ეფენდი, ბოიანი ი.ს., ალავერდოვი ე.რ., მჭედლოვი ლ.ლ., ქეშიშ-ოღლი მ., კოჩხოევი ი.ი., სტეფანოვი გ.ა., ტერ-ასატუროვი ნ.ბ., ცატუროვი ა.ა., ეფრემიდი ნ.პ.; მესამე თანრიგი: აბაშიძე სანჯაყ-ბეგ-ზადე-იბრაიმ-ბეგი; ოგანეზოვი ხ.ა., ხარაჩოვი დ.ფ., საბაშვილი ს.ს., როსტომ-აღა-ზადე სულეიმან-აღა, ვარშანიძე ი.გ., აბაშიძე, სანჯაყ-ბეგ-ზადე ჰუსეინ-ბეგ, მასუროვი გ.დ., დავითაია პ.ვ., შადინოვი ი.ს., მჭედლოვი გ.ლ., კორჩეტკოვი გ.ე. ეროვნების მიხედვით: რუსი - 8, ქართველი - 11, სომეხი - 10, ბერძენი - 2, ებრაელი - 2, პოლონელი - 2, გერმანელი - 1. წოდებრივი და სოციალური მდგომარეობის მიხედვით: ინჟინერი - 4, იურისტი - 2, მოხელე - 3, ვაჭარი - 14, ექიმი - 1, სამხედრო - 3, აფთიაქარი - 1 და სახლის მფლობელი - 8 [ახვლედიანი, 1978 :207]

პირველი ქალაქის თავი იყო კ.ი. გავრონსკი, წევრები: დ.ი. ბიკოვი, რომელიც ითვლებოდა მოადგილედ, ა.ი. კოიანდერი და ი.ს. შადინოვი. მდივანი ი.მესხი, საქმეთა მმართველი მ.ა. ჩხარტიშვილი; თუმცა ამ თანამდებობაზე მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ არჩევნები მოხდა 1894 წლის 12 ოქტომბერს, არჩეულ იქნა 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. არჩეულ შემადგენლობაში ახლა მეტი რაოდენობით შევიდნენ ქართველები, აი მათი სია: ერისთავი ნ.ბ., გედევანიშვილი ი.ზ., მხეიძე დ.ი., ვოლსკი გ.ი., ელიავა გ.ლ., დუმბაძე ნ.ა., შერვაშიძე პ.ლ., საბაშილი ნ.ა., ნიკოლაძე მ.ი., მესხი ი.ს. და უამრავი სხვა. გარდა ამისა, სასულიერო წოდების წარმომადგენელი ეპისკოპოსი დანიშვნის წესით შევიდა სათათბიროში ლ.ს. ქიქოძე. 1895 წლის 25 იანვარს მოხდა ქალაქის თავის არჩევნები და ქალაქის თავად აირჩიეს ლ.ნ. ასათიანი.

ბათუმის ქართველი საზოგადოების, კერძოდ, თვითმმართველობის ხმოსნები ცდილობდნენ ქართველთა ბირთვი გაეზარდათ; ამ მიზნით ჯერ კიდევ ბათუმის ქართველმა საზოგადოებამ მოიწვია ლ.ასათიანი ქუთაისიდან ქალაქის თავად, რომელსაც ცენზი არ გააჩნდა. მას ჭაობში სახლი უყიდეს და ცენზიანი ხმოსანი გახდა. დიდი ბრძოლების შემდეგ აირჩიეს ქალაქის თავად. თვითმმართველობის წევრებად აირჩიეს: ვოლსკი და ივანოვი, მდივნად ი.მესხი, ასათიანის კანდიდატურას აგრეთვე მხარს უჭერდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი - გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი.

ლ. ასათიანის გარდაცვალების შემდეგ, ქართველმა საზოგადოებამ დელეგაცია გაუგზავნა თბილისში მცხოვრებ ანდრონიკაშვილს. ის დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმებულა და აურჩევიათ

ქალაქის თავად. საზოგადოების ზოგიერთ წევრს, მაგალითად, ვოლსკის, ქალაქის თავად დანიშვნის დიდი სურვილი ჰქონდა. ამას ადასტურებს თვით ანდრონიკაშვილის ნაამბობი: „მე რომ მცოდნოდა, ვოლსკის უნდოდა ქალაქის თაობა, არავითარ შემთხვევაში არ წამოვიდოდიო.“ შემდეგ იგი მის მოგონებაში წერს: „როგორც გავიგე, ჩემს კანდიდატურას მხურვალედ მხარი დაუჭირა და რეკომენდაცია მისცა დიდმა მწერალმა და პოეტმა ილია ჭავჭავაძემო.” [ახვლედიანი, 1978 :209]

ამ არჩევნებთან დაკავშირებით ბათუმში ვაჭარ-მრეწველები - ბურჟიაზია ერთმანეთს ებრძოდნენ : ქართველი ბურჟუაზია ებრძოდა სომეხ ბურჟუაზიას. სომეხი ბურჟუაზები ეკონომიურად ძლიერნი იყვნენ. ქართველი ბურჟუაზიული დევნის წარმომადგენელნი იყვნენ: ექიმები - ვოლსკი, ელიავა და სხვ. სომეხი ბურჟუაზიის - კომერციული ბანკის გამგე ბუდადოვი. ვოლსკი წერილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იყო, ელიავას კი ინდივიდუალურ-ეგოისტური ინტერესები ამოძრავებდა. ვოლსკი ეროვნული ინტერესების დაცვის პოზიციიდან გამოდიოდა. პალმსა და ვოლსკის შორის ბრძოლა მუდამ იყო, მაგრამ საზოგადოება ვოლსკის უფრო პატივს სცემდა. მაგალითად, ერთ-ერთი არჩევნების დროს ვოლსკიმ მიიღო 169 ხმა, პალმმა-98 ხმა. 1898 წელს დამატებით არჩევნებში იაკ. ოგანეზოვმა მიიღო 182, წინააღმდეგ 122, ვოლსკიმ კი 193 - წინააღმდეგ 111 ხმა. ვოლსკი ორი ყოფილა - გრიგოლი და იაკობ. შემდეგ არჩევნები ჩატარდა 1898 წელს, აქაც არჩეულთა შემადგენლობას ბათუმში მცხოვრები ქართველების ახალი ნაკადი შეემატა. არჩეულმა თვითმმართველობამ ბევრი საქმე გააკეთა, მათ შორის, ქალაქის გაფართოების, მდინარე სკულკუბამდე (ბარცხანის მდინარე), ხოლო მეორე მხრივ მიემართებოდა მეჯინისწყლამდე. გატარდა სხვა მრავალი ღონისძიება. ამ ხარჯების დასაფარავად თვითმმართველობა ფულებს აგროვებდა მოსახლეობაში, აგრეთვე ხალხში გაავრცელეს 600 ათასი მანეთის ობლიგაციები. ობლიგაციების გავრცელებიდან შემოსული თანხები გათვალისწინებული იყო: 200.000 მანეთი ვაჟთა გიმნაზიის აშენებისათვის, რომელიც უნდა აშენებულიყო 1897 წელს, სახანძრო რაზმისათვის - 13 000 მანეთი, ქალაქის ექსვკლასიანი სასწავლებლისათვის - 85.000 მანეთი, აბანოს მშენებლობისათვის - 50 000 მანეთი, ტრამვაი-ცხენით მოწყობისათვის - 91 000 მანეთი, ლომბარდისათვის - 25 000 მანეთი.

ბათუმში სხვადასხვა გილდიისა ვაჭრები გამრავლდა. ქალაქის თვითმმართველობის მიერ ვაჭრებზე გაცემული მოწმობების მიხედვით გაზეთი ასეთ ცნობას გვაწვდის: პირველი გილდის ყოფილა 21 კაცი, მეორე გილდისა - 158, წვრილი ვაჭრები - 543, შინამრეწველები - 157. 1895 წელს ბათუმში ყოფილა 68 კომლი აჭარელი, რომლებიც ჯარში არ გაჰყავდათ და სამაგიეროდ იხდიდნენ 441 მანეთს. ხელისუფალთა მთავარი საზრუნავი იყო მოსახლეობის წყლით მომარაგება. ოსმალთა დროს წყალი „სოუქსუდან“ იყო გამოყვანილი სამხედრო ნაწილისათვის და აზიზიეს ჯამესათვის. დანარჩენი მოსახლეობა წყალს ჭებით სარგებლობდა. იმდროინდელი წყალგაყვანილობის თიხის მილები

მუზეუმში ინახება. 1885 წლისათვის წყალგაყვანილობა მოსახლეობას დღე-ღამეში აწვდიდა 25 000 ვედრო წყალს. მაშინელი მოსახლეობის წყლით დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 200 000 ვედრო დღე-ღამეში, ამიტომ საჭიროება შეიქმნა დამატებით წყლის გამოყვანისა. 1889 წლის 6 ნოემბერს ქალაქის საბჭომ გამოცხადა კონკურსი პროექტის შესადგენად მდინარე ლეჩას წყლის გამოსაყვანად. აგრეთვე, დაისვა საკითხი თამარას (ყოროლის) წყლის გამოყვანის შესახებ. ეს ორივე წყალი ქიმიური თვისებებით შემოწმდა და კარგი აღმოჩნდა სიხისთვის მიხედვითაც. სოუქსუს წყალთან ყოფილა ციხესიმაგრე „სოუქსუ თაბია“. დიდი ბრძოლის შემდეგ, 1899 წლის 14 ივნისს, ქალაქის საბჭომ ინჟინერ მიხაილოვის დაკსვნა მიიღო, რომ წყალი გამოეყვანათ დმინარე ლეჩადან. ერთი თვის შემდეგ მიიღეს გუბერნატორის გადაწყვეტილება ამ საქმისათვის 70000 მანეთის გამოყოფის შესახებ. ინჟინერ მიხაილოვს დაევალა 600 ათასი ვედრო წყლის გამოყვანის პროექტის შედგენა. ახალი პროექტი ჯდებოდა 843 000 მანეთი. წყლის გამოყვანის საქმეში მრეწველებმაც მიიღეს მონაწილეობა შემდეგ ეს პროექტი შეამცირეს და დაიყვანეს 450 000 მანეთამდე. აღნიშნულ თანხაზე ხელშეკრულება ინჟინერს მიხაილოვთან გააფორმეს. დაფინანსების წყარო იყო საფუთი შემოსავლის 1.5 ნაწილი, დაიწყეს მუშაობა, შემდეგ მალე გამოიყვანეს წყალი ე.წ. ყოროლისწყლიდან, რომელიც ძირითადად დღესაც მოქმედებს. ქალაქის თვითმმართველობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ელექტროგანათება ჰქონოდა. ცნობილია, რომ ბათუმს ჩვენს მხარის რუსეთთან შეერთებადმე ელექტროგანათება არ ჰქონდა. დიდხანს ბათუმის განათება ნავთის ლამპებით ხდებოდა. 1899 წლის ცნობით, განათების ხაჯრები აღწევდა 11.106 მან. ამ დროისათვის ყოფილა 779 ქუჩის ფარანი, თითოეული ფარანი წლიურად ჯდებოდა 12 მანეთი და 86 კაპიკი. სხვა საქმეებთან ერთად ამ საქმეშიც ლ.ასათიანს დიდი როლი მიუძღვის, იგი შეუთანხმდა პეტროგრადში სათანადო ორგანიზაციას ბათუმის ელექტროსადგურის ასაშენებლად. 1897 წელს პროექტი გზათა მიმოსვლის სამინისტრომ დაამტკიცა. დაფინანსდა 130 ათასი მანეთი. ძალიან საინტერესო ფაქტებს ვაწყდებით ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებით მრეწველობის განვითარების პერიოდში. საინტერესოა გავიგოთ მათი დასაქმების არეალი, მათი პოლიტიკური შეხედულებები როგორი იყო, რა კატეგორიით არჩევდნენ ადამიანებს ქარხანა-ფაბრიკაში დასასქმებლად და რა იყო მათი თამასუქი. მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლის გადაუდებელი ამოცანა. მუშათა კლასმა ვეღარ მოითმინა ამდენი დამცირება და გაჭირვება, რამდენად მრეწველობა ვითარდებოდა, იმდენად ექსპლუატაციის ნორმები იზრდებოდა. როგორც ვიცით, მუშებს ქარხანა-ფაბრიკის მეპატრონეები ფულის ნაცვლად ბარათებს აძლევდნენ და ამაგრებდნენ მაღაზია-სასადილოებზე, ისინი ყვლეფდნენ მუშებს, ქარხანაში მონური შრომა იყო გამეფებული, მუშებს ჯარიმებს ახდევინებდნენ, ზოგჯერ იმდენს, რომ მუშის ნამუშევარი ვერ ფარავდა. მიუხედავად მუშების გაჭირვებული მდგომარეობისა, მაინც მუშათა რაოდენობა ბათუმში ყოველდღე იზრდბოდა. თუ 1882 წელს იყო 965 მუშა, 1890 წელს

მათმა რიცხვმა 6 275-ს მიაღწია, ხოლო 1897 წელს ბათუმში ყოფილა 11 249 მუშა. ამ მუშათა შორის უმრავლესობა სოფლიდან იყო ჩამოსული. ბათუმის ცალკეულ ქარხნებში მოქმედებდნენ მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც წრეების სახით იყვნენ გაერთიანებული და აყენებდნენ სხვადასხვა მოთხოვნილებებს. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მათ ერთიანი პროგრამული ხასიათი არ ჰქონია. ხოლო 1896 წელს შუდგენიათ და დაუმტკიცებიათ სამოქმედო პროგრამა. საბრძოლო პროგრამა ანუ გეგმა 14 მუხლისაგან ყოფილა შემდგარი; ბრძოლა მონარქიული თვითმპყრობელობის, კაპიტალიზმის, სასულიერო წოდების წინააღმდეგ, კრების, გაფიცვის, სიტყვის თავისუფლება და 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ მოთხოვნა. ბათუმში მუშათა წრეები უფრო ადრეც არსებობდა, უმთავრესად მსხვილ წარმოებებში. მათზე ხელმძღვანელობის საქმეში დიდი როლი შეასრულეს რუსეთიდან ჩამოსულმა მარქსისტებმა: გ.ფრანჩესკიმ, ი. ლუზინმა, ი. კოგანმა და სხვებმა. მუშათა კლასი თანდათან თავის ადგილს იჭერს ბათუმის საზოგადოებაში. „მესამე დასს“ ბათუმში ჰყავდა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი. ამ ჯგუფთან იყვნენ დაკავშირებული ი. ლუზინი, გ. ფრანჩესკი და სხვები. ბათუმის სოციალურ-დემოკრატიული წრე ქალაქგარეთ იკრიბებოდა და, თვალის ახვევის მიზნით, პოლიტიკურ და სადღეისო საკითებს სუფრაზე იხილავდა და ატარებდა სხვადასხვა ღონისძიებებს. შექმნეს მუშათა სალარო და მისი წესდება, გაამრავლეს კ. მარქსის ფოტოსურათები, ავრცელებდნენ მარქსისა და ენგელსის შრომებს. კომუნისტური მანიფესტი პირველად ბათუმში თარგმნეს და გაავრცელეს მუშებში. ბათუმის სოციალურ-დემოკრატების წრემ იმ მიზნით, რომ ქართველი მუშებისათვის მარქსისტული ლიტერატურა მშობლიურ ენაზე მოეწოდებინა, თარგმნა და 1897 წელს ჰექტოგრაფზე დაბეჭდა კ. მარქსის და ფ.ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ეს ყოფილა პირველი ქართული გამოცემა, ქართულ ენაზე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომისა, რომელიც უთარგმნია გ. სოლორაშვილს (სოღოროვს). ბათუმის სოციალურ-დემოკრატიული წრე დიდ მუშაობას ეწეოდა. იგი ცენტრს უკავშირდებოდა ორი გზით: ერთი - უშუალოდ თბილისით და მეორე - შავი ზღვით. მუშები იმდენად ორგანიზებული ყოფილან, რომ მათ პირველი გაფიცვა ბათუმში მოაწყვეს 8821 წელს. ისინი ითხოვდნენ ხელფასის თავის დროზე მიღებას, ამ პირველმა ცდამ გამარჯვებით ჩაიარა. როგორც ითქვა, 1896 წლიდან ი.ლუზინი და ფრანჩესკი უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ ბათუმის მოწინავე, რევოლუციონერ მუშებთან და მათ მოახერხეს 1896 წელს აქ შეექმნათ მარქსისტული წრე. რევოლუციურმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ბათუმში პირველი მაისობა, საერთო ცნობით, თითქოს 1897 წელს ჩატარებულა, მაგრამ მ.ცხაკაიას მოგონებიდან ჩანს, რომ იგი ჩატარდა 1891 წელს. ჩოდროშვილის გადმოცემით, 1892 წელს მუშათა დიდ გაფიცვას ადგილი ჰქონია მანთაშევის ქარხანაში, მაგრამ ის მარცხით დამთავრებულა. ბათუმის მუშათა მოძრაობა უფრო გაძლიერდა, როცა თბილისიდან ჩამოვიდნენ ცნობილი მარქსისტები და დიდი მასშტაბით გაშალეს რევოლუციური მუშაობა. ქართელი მოწინავე მუშები რევოლუციის ფერხულში აბამდნენ აჭარის სხვადასხვა რაიონის

გლეხობას და ისინი ჩამოჰყავდათ ფაბრიკა-ქარხნებში. ბათუმის მუშები და უფრო ადრე ხელოსნები, ნავსადგურის საშუალებით საზღვარგარეთიდან ღებულობდნენ მარქსისტულ ლიტერატურას და ავრცელებდნენ ამიერკავკასიაში. [ახვლედიანი, 1978 :214]

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში სწრაფი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარდასახვის პროცესი დიდი ხნის დაწყებული იყო. ქალაქი, რომელიც თავდაპირველად მცირე საპორტო დასახლება გახლდათ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გადაიქცა მრავალეროვან, ევროპული გავლენებით გამორჩეულ ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად. ამ გარდასახავას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა: ეკონომიკური და ურბანული განვითარება, მრავალეთნიკური გარემო, განათლება და ინტელიგენცია, თეატრი, მუსიკა და საზოგადოებრივი ცხორვება, ქალთა როლის ცვლილება, პოლიტიკური და სოციალური პროცესები და ა.შ.

საინტერესო იქნება განვიხილოთ როგორი სოციალური მდგომარეობა იყო მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ბათუმის ოლქში, მანამ სანამ უშუალოდ შევეხებით საზოგადოების ფორმირებას, მათი ცხოვრების სტილის შეცვლას - გათანამედროვეობასაც და ა.შ. მე-20 საუკუნის დასაწყისი უკვე შემდგარი პერიოდი იყო ბათუმისათვის, ნავთობის ინდუსტრია კარგად ფორმირებული და ფეხმოკიდებული გახლდათ, რამაც საგრძნობლად იმოქმედა სოციუმის ყოფით მდგომარეობაზე. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე სოციუმის ფორმირება არ მოიაზრებოდა დადებით კონტექსტში, აქ საუბარია მუშათა კლასის მღელვარებაზე, რადგან ინუდსტრიალიზაციის პერიოდში მათი დასაქმების არეალი გაიზარდა, სამუშაო პირობები გაუარესდა და გამოიწვია რიგი პრობლემები მათ ყოველდღიურობაში. საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პროცესი ხასიათდებოდა გარკვეული თავისებურებებით (ადგილობრივი კაპიტალის საგრძნობი ნაკლებობა, უცხო ქვეყნების კაპიტალის მნიშნელოვანი როლი, მჭიდრო კავშირი რუსეთის კაპიტალისტურ ეკონომიკასთან, ბატონყმობის გადმონაშთების სიჭარბე და სხვ). მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში რუსეთის მრეწველობა რამდენადმე აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ისე მუშათა რაოდენობითა და შრომის კულტურით, იგი მიანც ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ცნობილია, რომ ბათუმი და მისი ოლქი რუსეთს შეუერთდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა აქტიური განვითარების პერიოდში. ამის გამო იგი სწრაფი ტემპით დაწინაურდა და მელა ამიერკავკასიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად იქცა. აქ XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულსა და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთიდან შემოაქვთ წარმოების კულტურის შედარებით მაღალი ტექნოლოგიები. ამასთან, თავისი არაკონკურენტუნარიანობის კომპენსაციას ადგილობრივი მრეწველები ცდილობდნენ სამამულო

მრეწველობისადმი მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით, მაგრამ უშედეგოდ. მრეწველები არ ცდილობდნენ მუშებისათვის მინიმალური საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების შექმნას. ბათუმის ოლქის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის რკინიგზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც გაფიცვების დროს სახლში ბრუნდებოდნენ და სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008 :294].

1890 წლებში უკიდურესად ცუდი იყო ხალხის საბინაო პირობები, ხოლო ბათუმის სამრეწველო მუშების ცუდი საბინაო პირობების შესახებ ბევრი მასალა არის გაბნეული ლიტერატურულ წყაროებში და არქივებში. ბათუმში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით გაიხსნა საკრედიტო და საბანკო დაწესებულებები. 1886 წლის 21 ოქტომბერს გაიხსნა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება 7-8 კაცის შემადგენლობით; 1896 წელს გაიხსნა სახმრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება, ერთი-წლით ადრე - 1895 წლის 20 მაისს გაიხსნა საკრედიტო-გამსესხებელი ბათუმის საზოგადოება და სხვა ამხანაგობები. მუშათა ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდებოდა. მრეწველობა ვითარდებოდა, მუშათა პირობები უარესდებოდა. მუშებს ხელფასს უგვიანებდნენ და უმცირებდნენ. კიდევ უფრო უარესი იყო მტვირთავი მუშების მდგომარეობა. გეგმების დამცლელი მოიჯარადრე მუშებს ამუშავებდა, ხოლო შემდეგ რაღაც წერილებს - კვიტანციებს აძლევდა. მოლარეები მუშებს აწვალებდნენ, ატყუებდნენ. ხშირად უდანაშაულო მუშებს როზგით სცემდნენ და ქარხნიდან აგდებდნენ. 8-11 წლის ბავშვებს ამუშავებდნენ 6 საათიდან საღამომდე. „-პირი ჩაყვითლებული, - ჩამომჭკნარი, თვალები ჩაღრმავებულ-ჩაშავებული, ყურები გათხელებული, ბაგე ჩატეტკილი და ხელ-ფეხ დამწვარი და გატრუსული, ზოგს ორი-სამი თითიც აკლია - მანქანაზე დასახიჩრებული - აღწერს ერთ-ერთი გაზეთი. [ახვლედიანი, 1978 :202]

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, იცვლებოდა საზოგადოების სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა. 1903 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა 35000 ადამიანს შეადგენდა. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის მოსახლეობის მნიშნელოვან ნაწილს უკვე რუსები შეადგენდნენ. [კარალიძე, 2009 :62]

ბათუმი თავისი დაარსების დღიდანვე ინტერნაციონალური ქალაქი იყო. აქედან გამომდინარე, ბათუმის თვითთმმართველობა დიდ მზრუნველობას იჩენდა სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებისათვის შესაბამისი სასწავლო დაწესებულებებით უზრუნველსაყოფად. ბათუმში თითქმის ყველა ეროვნებას გააჩნდა საკუთარი სკოლები. 1909 წლის 16 დეკემბერს თვითმმართველობამ საზოგადოებისათვის „პოლონური სახლი” კომაროვისა და გიორგიევსკის ქუჩების კუთხეში სკოლისა და ბიბლიოთეკის ასაშენებლად გამოჰყო 137,32 კვ. საჟ. მიწის ნაკვეთი.

ბათუმის რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ სურვილი გამოთქვა გაეხსნა სკოლა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავში მიიღებდა განათლებას, კერძოდ, ქართველები, პოლონელები, ფრანგები, ჩეხები. ამ იდეით თვითმმართველობის წინაშე გამოვიდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი. ამ დროს ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები. ბათუმის თვითთმმართველობამ თეატრის მშენებლობა სასურველ და აუცილებელ საქმედ მიიჩნია, რომელიც მოემსახურებოდა სამ მიზანს: 1. იქნებოდა საუკეთესო საშულება მასებში ჰუმანიტარულ-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის 2. ქალაქს მოუტანდა კარგ შემოსავალს 3. თეატრის შენობა გაალამაზებდა ქალაქს. თეატრის შენობის პროექტზე გამოაცხადეს კონკურსი. თავდაპირველად თეატრი გათვალისწინებული იყო 100 მაყურებელზე. ტეატრის ადგილსამყოფელად აირჩიეს ნურიეგელის მიდამოები. უფრო ადრე, 1889 წლის 17 აპრილს, თავადი სტეფანე ოსიპის-ძე სტეფანოვი თვითმმართველობას სთხოვს ზღვისპირა პარკში მიწის გამოყოფას საზაფხულო თეატრის მოსაწყობად. აღნიშნულ იუბილესთან დაკავშირებით თვითმმართველობამ ასევე გადაწყვიტა მოეწყო ერთი უფასო დაწყებითი სკოლა. თვითმმართველობის წევრი ჯაყელი წინადადებით გამოვიდა იუბილესთან დაკავშირებით გამოეშვათ კრებული, სადაც მოცემული იქნებოდა ბათუმის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა. 1908 წლის 19 მარტს, თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა მოქალაქე გ. გომანის იდეას და ქალაქის ა. პუშკინის სახელობის დაწყებით სკოლაში გახსნა მუზეუმი ზოოლოგიის, ბოტანიკის, ბოტანიკის, მინერალოგიის განყოფილებებით, ზოოლოგიური ბაღითა და აკვარიუმით. ამავე წლის 19 მარტს, მოქალაქეებმა ვეიდემანმა და ზგურიცისმა ზღვისპირა პარკში მოაწყვეს თეატრი „ილუზიონი". ბათუმში მცხოვრებმა შტენბერგმა თვითმმართველობას წარუდგინა კინემატოგრაფიის სახლის პროექტი. 1910 წელს, მოქალაქე ივანე მორუსი ზღვისპირა პარკში საფუძველს უყრის კულტურულ კერას, ამავე დროს ალექსანდრე სტეფანისძე ტკაჩოვმა იქვე ააშენა კინემატოგრაფიის სახლი და მუსიკალური დარბაზი, ხოლო ზღვასთან ახლოს გამოიყო ადგილი „სკეტინგ რინკის" მოსაწყობად (ინგ. Skating rink - მოასფალტებული მოედანი ან ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად).

თვითმმართველობამ ბევრი რამ გააკეთა ქალაქის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობისათვის. იუმორისტული თვალსაზრისითაც საკმაოდ საინტერესოდ ჟღერს ფაქტი იმის შესახებ, რომ თვითმმართველობის წევრი ფიცს დებდა ღვთის წინაშე, რომ მის მოვალეობას შეასრულებდა კეთილსინდისიერად და პასუხისმგებელი იქნებოდა ღვთის წინაშე. [მეგრელიშვილი, 2026:5]

როგორც ოთარ ნიკოლეიშვილი გვაუწყებს თავის წიგნში, არაცვეულებრივი ცნობები შემოგვინახა იტალიელმა ისტორიკოსმა და დიპლომატმა ლუიჯი ვილარიმ ბათუმის შესახებ, წიგნში - „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში", რომელიც პირველად 1906 წელს გამოიცა ლონდონში. აღსანიშნავია ის ფაქტი,

რომ ვილარის მოგზაურული ჟანრის ნაშრომები უშუალოდ მიერ ნანახსა და მიღებულ შთაბეჭდილებებზეა დაფუძნებული, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის მათში მოცემულ ინფორმაციას. იტალიელი ავტორის ერთ-ერთ ასეთ წიგნს წარმოადგენს სწორედ ზემოთ აღნიშნული, რომელიც 1905 წელს კავკასიაში ავტორის მოგზაურობის ამსახველი ფაქტებით არის გაჯერებული. იგი ძალზე ფასეული უცხოურ წყაროს წარმოადგენს, როგორც ნიკოლეიშვილი განმარტავს, რადგან მასში საქართველოს არაერთი ქალაქი და კუთხეა აღწერილი და დახასიათებული. ვილარი თავის წიგნში აღწერს: „ბათუმის, როგორც ჩვენი ქვეყნის საზღვაო კარიბჭის, მნიშნელობის შეფასების დროს იტაიელი დიპლომატი პარალელს საქართველოს კდიევ ერთ საპორტო ქალაქთან - ფოთთან ავლებს. ვილარი ძალზე საინტერესოდ საუბრობს იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მან ბათუმის პირველი ხილვისასა მიიღო. საყურადღებოა ისიც, რომ იტალიელ დიპლომატზე ქალაქს, გარკვეული რუსული გავლენის მიუხედავად, უმეტესწილად აღმოსავლური ტიპის დასახლების შთაბეჭდილება დაუტოვებია. უფრო მეტიც, იმ სასტუმროზე საუბრის დროს, სადაც მას მოუხდა გაჩერება, ლ. ვილარი სკოპიესა და სალონიკის სახით იმ ქალაქებთან ავლებს პარალელს, რომლებიც ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში შემავალი რუმელიის ეიალეთის (1365-1867) ერთ-ერთ საკვანძო დასახლებებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, წიგნის ავტორი აღფრთოვანებას არ მალავს ბათუმის საოცარ ხედებსა და ბუნებაზე საუბრის დროს. ნათქვამით დასტურად დავიმოწმებ შესაბამი ფრაგმენტს წიგნიდან: „ჩვენს წინ ბათუმის ულამაზესი ხედი გადაიშალა. ყურე ამფითეატრისებურად არის გარშემორტყმული მდიდარი მცენარეებისა და ხავერდოვანი ბალახით სავსე მთებით. ჩრდილოეთით რიონის ჭაობიანი ვაკეა გადაჭიმული, რომლის მიღმაც შესაძლოა კავკასიონიც კი დავინახოთ;'' [ნიკოლეიშვილი, 2025:135]

მსგავს ისტორიულ ფაქტების განხილვისას ნიშანდობლივია აღვნიშნოთ თუ როგორ მოიხსენიებენ მკვლერევბი თუ მოგზაურები ვინც იმყოფებოდნენ საქართველოში და რაღა თქმა უნდა ბათუმშიც, ბათუმს, როგორც სხვადასხვა კულტურის არქიტექტურული ხიბლის შერწყმის ნათელ მაგალითად. კვლავ შესაძლებელია მოვიშველიოთ ლუიჯის დეტალური აღწერა ბათუმის ურბანულ მხარეზე, ბათუმის ბულვარზე, როგორც ქალაქის დიდი საგანძური და ა.შ.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება წარმოვადგინო, რომ ქალაქ ბათუმმა საკმაოდ მძიმე სოციალისტური პირობები გამოირა XIX საუკუნის მიწურულს მძიმე პოლიტიკური ფონით, რამაც არ მისცა გასაქანი ადგილობრივ მოსახლეობას ინუდსტრიალიზაციის ეტაპი მაქსიმალურად მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მთავარ ბერკეტად შეენარჩნებინათ, რადგან წინარევოლუციურმა პერიოდმა დიდი ქაოსი, აშლილობა და არასახარბიელო სამუშაო პირობები გამოიწვია, რასაც მოჰყვა მუშათა კლასის,ანუ საზოგადოების აღშფოთება. შესაბამისა, რთულია ვიმსჯელოთ, რომ ნავთობის

ინდუსტრიის შემოტანა ჩვენს ქალაქში ყველანაირ სახარბიელო და დადებით განწყობას ქმნიდა ადგიობრივებში, რიგირ სავალალო პრობლემების გამოწვევის გამო. თუმცაღა, სხვადასხვა ისტორიული ფაქტების გააზრებით გვერდს ვერ ავუვლით იმ ნამდვილ კულტურულ გარდასახვას, რაც იყო XX საუკუნის დასაწყისში. როგორც თემაში აღვნიშნე კიდეც, ზოგიერთი მოგზაური აღნიშნავს, თუ როგორ იქცა ბათუმის ბულვარი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად, როგორ იგრძნობოდა ქალაქში ევროპული არქიტექტურული გავლენები, და რაც ყველაზე მთავარია ესეთი მცირე მასშტაბის საპორტო ქალაქიდან როგორ გადაიქცა ბათუმი ევროპული ტიპის ინდუსტრიულ ცენტრად. რასაც მოჰყვა სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტურული კერების ჩამოყალიბება, დაწესებულებების გახსნა ქალაქში, რითიც უფრო მეტად ცივილიზდა მოსახლეობა და მიეცათ საშუალება თვით ქალბატონებსაც კი მონაწილეობა მიეღოთ საგანმანათლებლო თუ კულტურულ ღონისძიებებში. ამ პროცესების ისტორიული აღწერა კი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, რომ კულტურული განვითარების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეკავა განათლების, თეატრის, კინემატოგრაფიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურებას. ქალაქში არსებული მრავალეროვანი სკოლები, ბიბლიოთეკები და კულტურული დაწესებულებები ხელს უწყობდა ინტელიგენციის ფორმირებასა და კულტურული სირვცის გაფართოებას. უცხოელი მოგზაუროებისა და დიპლომატების ჩანაწერები ნათლად წარმოაჩენს იმდროინდელი ბათუმის მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. მათ შეფასებებში ბათუმი წარმოდგენილია, როგორც სწრაფად მზარდი, მრავალფეროვანი და საერთაშორისო მნიშნელობის ქალაქი, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი ბუნებით, პორტითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით. შესაბამისა, XX საუკუნის დასაწყისის ბათუმი წარმოადგენს მნიშნელოვან მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ინდუსტრიალიზაციამ, საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა და კულტურულმა ინტეგრაციამ გარდაქმნას ქალაქის სოციალური და კულტურული იდენტობა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ბათუმი, როგორც თანამედროვე ურბანული სივრცე, რომლის ისტორიული მემკვიდრეობა დღემდე მნიშნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის კულტურულ

გამოყენებული ლიტერატურა:

ახვლედიანი ხ., „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი 1978;

კარალიძე ჯ, „აჭარა 1878-1903 წლებში. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება”, ბათუმი 2009;

მეგრელიშვილი მ, მეგრელიშვილი ნ, „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან”, ბათუმი 2026;

ნიკოლეიშვილი ო, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან”, ტომი 2, ქუთაისი 2025;

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი 3, რედაქტორები: სურგულაძე აბელი, სიორიძე მალხაზი, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახლმეწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2008;